“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს ფეხბურთის მოყვარულთა შორის.

ასე იყო ამ გუნდების გუშინდელ შეხვედრაშიც, რომელიც მოსკოვში გაიმართა. თამაშის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით აღინიშნა. სახიფათო მომენტები მრავლად იქმნებოდა ორივე კართან. ერთ–ერთ ასეთ მომენტში მოსკოველმა სალნიკოვმა კარგად გამოიყენა დარტყმა და ანგარში გახსნა.

თბილისელებმა ეს ბურთი მეორე ტაიმში გაქვითეს და მალე მოწინააღმდეგის კარში მეორე ბურთიც გაგზავნეს – 2:1. გონგის შემდეგ სავდუნინმა (მოსკოვი) 35 მეტრიდან მოულოდნელი, ძლიერი დარტყმით თავისი გუნდი გადაარჩინა დამარცხებას. მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

18 მაისს მოსკოვის “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის სამხედრო ოლქის გუნდი და თბილისის “დინამო”. თბილისელებმა, განსაკუთრებით დაცვამ, ძლიერ სუსტად ჩაატარა თამაში და არმიელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 4:3.

“ლელო”, 24 მაისი, 1953 წ.